

ხელშეკრულება N02/10/016-17
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „29“ დეკემბერს 2016 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ირაკლი ბერეკაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „სტრადა მოტორსი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გვაზავას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის, მე-3 პუნქტის, „თ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ **გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველს აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1. შესყიდვის ობიექტი

- 1.1 შესყიდვის ობიექტია „შემსყიდველის“ სახელზე რიცხული 98 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების, აქედან 78 ერთეული ფიატ დუკატოს, 14 ერთეული ფიატ დობლოს და 6 ერთეული ფიატ სკუდოს მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილებით დროულად, ხარისხიანად შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50110000).
- 1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასახელება, მოდელი და რაოდენობა მოცემულია დანართ 4-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების, საქონლის ჩამონათვალი და ფასები მოცემულია დანართ 1, 2 და 3-ში. დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 1.4 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულების დანართ 1, 2 და 3-ში არ არსებობს რომელიმე სახის საქონელი ან მომსახურება, აღნიშნული საქონლის ან მომსახურების ერთეულის ფასი დადგინდება მხარეებს შორის მიღწეული ურთიერთშეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **130 000,00 (ასოცდაათათასი) ლარს.**
- 2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართი 1, 2 და 3-ით.
- 2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ეკისრება მიმწოდებელს.

3. მომსახურების გაწვევის ვადები და პირობები

- 3.1 მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას გაუწევს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
- 3.2 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენის შემდეგ, მიმწოდებელი იმავე დღეს ადგენს დეფექტურ აქტს. აქტში მიეთითება სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასები, მომსახურების ღირებულება, საერთო თანხა და შესრულების ვადა. ფასები მითითებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილის მიხედვით.
- 3.3 დეფექტურ აქტზე შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელი ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ მომსახურებას. შემსყიდველს უფლება აქვს შესწორება შეიტანოს დეფექტურ აქტში და შეამციროს გასაწევი მომსახურების ღირებულება.

- 3.4 ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სწრაფცვთადი ნაწილების შემთხვევაში 1 სამუშაო დღეს, სხვა ნაწილებზე სამუშაოს სირთულის მიხედვით არაუგვიანეს 7 სამუშაო დღეს. შესაკვეთი ნაწილების შემთხვევაში ტექნიკური მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.
- 3.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს ოპერატიულად და შეუფერხებლად.
- 3.6 მომსახურების გაწევის ადგილია თბილისი, ბელიაშვილის ქ. N97.
- 3.7 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისი მომსახურება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 06 მარტის ჩათვლით.

5. სტანდარტები

- 5.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. მომსახურების ხარისხი

- 6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
- 7.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 7.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ამავე სამსახურის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური განყოფილების უფროსი, ამავე სამსახურის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური განყოფილების სპეციალისტები.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
- 8.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტში მითითებული პირები.
- 8.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორება

- 9.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
- 9.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 9.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

- 10.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

- 11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12. სუბკონტრაქტორები

- 12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
- 12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.
- 13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადაჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 14.1 იმისათვის, რომ თავიდან აცილებული იქნას რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, გამოიყენება საქართველოს ბანკის მიერ 2016 წლის 06 ოქტომბერს გაცემული NPE39078-16 ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს - 9000,00 (ცხრაათასი) ლარს.
- 14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ უბრუნდება.
- 14.3 მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 14.4 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

- 15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
 - ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

16. ფორს-მაჟორი

- 16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
- 16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

- 18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. შეტყობინება

- 19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეკემის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. სხვა პირობები

- 20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო
დახმარების ცენტრი“

მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8
ტელ: 2 547099
ს/კ 200280141
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში, სახაზინო კოდი: 300779921


დირექტორის მოადგილე
/ირაკლი ბერეკაშვილი/


მიმწოდებელი
შპს „სტრადა მოტორსი“

მის: თბილისი, ბელიაშვილის ქ N 97

ტელ: 2 307 307

ს/კოდი: 401960286

ს/ს „საქართველოს ბანკი“

კოდი: BAGAGE22

ა/ა GE49BG0000000340710100


დირექტორი
ფურაბ გვაზავა

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სახელზე რიცხული ფიატ დუკატოს მარკის ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ჩამონათვალი ხარჯთაღრიცხვასა და გარანტიის ვადებთან ერთად

| N | დასახელება | ნაწილის ერთეულის ფასი (ქარხნული) | ნაწილის ერთეულის ფასი (არაქარხნული) | მომსახურების ღირებულება | ჯამი (ქარხნული) | ჯამი (არაქარხნული) | გარანტიის ვადა (ქარხნული) დღე | გარანტიის ვადა (არაქარხნული) დღე |
|----|---------------------------------------|----------------------------------|-------------------------------------|-------------------------|-----------------|--------------------|-------------------------------|----------------------------------|
| 1 | აბლიგოვკა | 760 | | 15 | 775 | | 10 | |
| 2 | ამორტიზატორი უკანა | 270 | 203 | 20 | 290 | 223 | 70 | 5 |
| 3 | ამორტიზატორი წინა | 500 | 359 | 50 | 550 | 409 | 70 | 4 |
| 4 | უკანა ბამპერის შუა ნაწილი | 330 | 183 | 20 | 350 | 203 | 10 | 2 |
| 5 | ბამპერი წინა მარცხენა ნაწილი | 378 | 214 | 15 | 393 | 229 | 10 | 2 |
| 6 | ბამპერი წინა მარჯვენა ნაწილი | 378 | 214 | 15 | 393 | 229 | 10 | 2 |
| 7 | ბამპერის წინა შუა ნაწილი | 453 | 278 | 20 | 473 | 298 | 10 | 2 |
| 8 | გამაგრებელი სითხე (ანტიფრიზი) 1 ლიტრი | 18 | | 18 | 36 | | 10 | |
| 9 | გამახურებელი | 85 | 45 | 60 | 145 | 105 | 40 | |
| 10 | გენერატორის ღვედი | 98 | 64 | 20 | 118 | 84 | 10 | 2 |
| 11 | გენერატორის ღვედის დამჭიმი | 234 | | 40 | 274 | | 10 | |
| 12 | გენერატორის ღვედის როლიკი 1 | 130 | 123 | 40 | 170 | 163 | 20 | 2 |
| 13 | გიტარა ქვედა | 715 | 366 | 40 | 755 | 406 | 50 | 2 |
| 14 | ზამზარა წინა | 1029 | | 85 | 1114 | | 50 | 2 |
| 15 | კარის გარე სახელური უკანა | 256 | 98 | 20 | 276 | 118 | 20 | |
| 16 | კარის გარე სახელური წინა მარცხენა | 130 | | 20 | 150 | | 20 | |
| 17 | კარის გარე სახელური წინა მარჯვენა | 220 | 200 | 20 | 240 | 220 | 20 | 10 |
| 18 | წინა კარის საკეტი მარჯვენა | 377 | | 20 | 397 | | 20 | |
| 19 | წინა კარის საკეტი მარცხენა | 393 | | 20 | 413 | | 20 | |
| 20 | კარის შიდა სახელური უკანა | 33 | | 20 | 53 | | 20 | |
| 21 | კარის შიდა სახელური წინა მარცხენა | 40 | | 20 | 60 | | 20 | |
| 22 | კარის შიდა სახელური წინა მარჯვენა | 168 | | 20 | 188 | | 20 | |
| 23 | კბილანა ღვედის როლიკი | 158 | | 120 | 278 | | 20 | |
| 24 | კბილანა ღვედის დამჭიმი | 135 | | 120 | 255 | | 10 | |
| 25 | კბილანა ღვედი | 245 | | 120 | 365 | | 10 | |
| 26 | კონდიციონერის ღვედი | 57 | 37 | 20 | 77 | 57 | 10 | |
| 27 | მინის საწმენდი რეზინი | 76 | 81 | 8 | 84 | 89 | 10 | |
| 28 | მოკლე წვევა (ტიაგა) | 220 | 54 | 20 | 240 | 74 | 10 | |
| 29 | მოჭიდების მექანიზმის დამჭიმი | 531 | 290 | 145 | 676 | 435 | 10 | 2 |
| 30 | მოჭიდების მექანიზმის დისკი ქუროთი | 927 | | 145 | 1072 | | 40 | |
| 31 | ნათურა (პრიბორის) | 14 | | 35 | 49 | | 10 | |
| 32 | ნათურა გაბარიტის | 9 | | 15 | 24 | | 10 | |
| 33 | ნათურა ერთ კონტაქტიანი | 5 | | 15 | 20 | | 10 | |
| 34 | ნათურა ორ კონტაქტიანი | 9 | | 15 | 24 | | 10 | |
| 35 | ნათურა ტუმანიკის | 19 | | 15 | 34 | | 10 | |
| 36 | ნათურა ჰალოგენი | 55 | | 15 | 70 | | 10 | |

| | | | | | | | | |
|----|--|------|-----|-----|------|-----|-----|---|
| 37 | რესორის ბალიში | 232 | 150 | 20 | 252 | 170 | 50 | |
| 38 | საბარგულის საკეტი | 354 | | 25 | 379 | | 20 | |
| 39 | საბურავის ადღგენა (ლატკით) მარტივი | | | 10 | 10 | | 10 | |
| 40 | საბურავის ბალანსირება | | | 5 | 5 | | 10 | |
| 41 | საბურავის დ/აწყობა (ახლის დაყენების შემთხვევაში) | | | | 0 | 0 | 10 | |
| 42 | საბურავის დაკერება (თოკით) | | | 8 | 8 | | 10 | |
| 43 | საბურავის დისკის გასწორება | | | 5 | 5 | | 10 | |
| 44 | საბურავის მ/დაყენება | | | 3 | 3 | | 10 | |
| 45 | სალონის ფილტრი | 75 | | 23 | 98 | | 10 | |
| 46 | სამუხრუჭე სითხე 1 ლიტრი | 27 | | 45 | 72 | | 10 | |
| 47 | სარკე გვერდითი | 454 | 378 | 40 | 494 | 418 | 10 | 2 |
| 48 | სარკის შუმა | 130 | 53 | 20 | 150 | 73 | 10 | 2 |
| 49 | საყრდენი დისკი (აპორნი) უკანა | 512 | 253 | 45 | 557 | 298 | 70 | 2 |
| 50 | საყრდენი დისკი (აპორნი) წინა | 530 | 372 | 45 | 575 | 417 | 70 | 2 |
| 51 | საწვავის ფილტრი | 87 | | 15 | 102 | | 10 | |
| 52 | სიჩქარეთა კოლოფის ზეთი 1 ლიტრი | 28 | | 55 | 83 | | 10 | |
| 53 | სტერეინის რეზინი | 33 | | 35 | 68 | | 10 | |
| 54 | სტუპიციის საკისარი უკანა | 575 | 536 | 45 | 620 | 581 | 50 | 2 |
| 55 | სტუპიციის საკისარი წინა | 229 | 153 | 78 | 307 | 231 | 50 | 2 |
| 56 | უკანა გვერდითა კარის როლიკი (ზედა) | 230 | 144 | 23 | 253 | 167 | 20 | 2 |
| 57 | უკანა გვერდითა კარის როლიკი (ქვედა) | 250 | 165 | 23 | 273 | 188 | 20 | 2 |
| 58 | უკანა გვერდითა კარის როლიკი (შუა) | 400 | 187 | 23 | 423 | 210 | 20 | 2 |
| 59 | უკანა გვერდითა კარის სახელური (გარე) | 216 | | 23 | 239 | | 20 | |
| 60 | უკანა გვერდითა კარის სახელური (შიდა) | 106 | | 23 | 129 | | 10 | |
| 61 | ფარი უკანა | 190 | | 23 | 213 | | 10 | |
| 62 | ფარი წინა | 529 | | 23 | 552 | | 10 | |
| 63 | ყუმბარა გარე | 652 | 206 | 73 | 725 | 279 | 130 | |
| 64 | ყუმბარა შიდა | 950 | 393 | 73 | 1023 | 466 | 130 | |
| 65 | ყუმბარის პილნიკი | 98 | 37 | 73 | 171 | 110 | 10 | 2 |
| 66 | შარავი | 222 | 175 | 45 | 267 | 220 | 70 | |
| 67 | ძრავის ზეთი 1 ლიტრი | 27 | | | 27 | | 10 | |
| 68 | ძრავის ზეთის ფილტრი | 45 | | 3 | 48 | | 10 | |
| 69 | წინა საჩქარე მინა | 1276 | 846 | 145 | 1421 | 991 | 10 | 2 |
| 70 | ხუნდები უკანა | 225 | 150 | 23 | 248 | 173 | 10 | 2 |
| 71 | ხუნდები წინა | 225 | 150 | 23 | 248 | 173 | 10 | 2 |
| 72 | ჰაერის ფილტრი | 60 | | 8 | 68 | | 10 | |
| 73 | ჰიდრაულიკის ზეთი 1 ლიტრი | 25 | | 48 | 73 | | 10 | |
| 74 | სამედიცინო სალონის დღის სანათი ნათურის გარეშე | 45 | | 10 | 55 | | 10 | |
| 75 | სამედიცინო სალონის დღის სანათის ნათურა | 11 | | 10 | 21 | | 10 | |
| 76 | სამედიცინო სალონის წერტილოვანი სანათი | 31 | | 10 | 41 | | 10 | |
| 77 | გამწოვი | 155 | | 25 | 180 | | 10 | |
| 78 | ფლოუმეტრის ბოთლი | 38 | | 5 | 43 | | 10 | |
| 79 | ფლოუმეტრი | 165 | | 5 | 170 | | 10 | |

| | | | | | | | | |
|-----|---|------|-----|-----|------|-----|----|---|
| 80 | DIN 25 როზეტი | 70 | | 10 | 80 | | 10 | |
| 81 | ჟანგბადის შლანგი 18 | 5 | | 5 | 10 | | 10 | |
| 82 | T-ფირმის გადამყვანი | 20 | | 5 | 25 | | 10 | |
| 83 | კარის რეგულირება შეხეთვა | | | 12 | 12 | | 10 | |
| 84 | ციმციმის დინამიკი | 135 | | 23 | 158 | | 10 | |
| 85 | პულტი | 65 | | 10 | 75 | | 10 | |
| 86 | მართვის ბლოკი (პულტის გარეშე) | 281 | | 23 | 304 | | 10 | |
| 87 | ზედა ციმციმა (დინამიკის გარეშე) | 840 | | 23 | 863 | | 10 | |
| 88 | ციმციმის ნათურების მოდული | 25 | | 23 | 48 | | 10 | |
| 89 | გვერდითა ნათურების მოდული | 48 | | 20 | 68 | | 10 | |
| 90 | წინა ნათურების მოდული | 20 | | 25 | 45 | | 10 | |
| 91 | უკანა ნათურების მოდული | 35 | | 20 | 55 | | 10 | |
| 92 | ზედა ციმციმის ხუფი | 135 | | 15 | 150 | | 10 | |
| 93 | ზედა ციმციმა დინამიკით და მართვის ბლოკით | 1025 | | 25 | 1050 | | 10 | |
| 94 | წინა ციმციმების კომპლექტი | 65 | | 25 | 90 | | 10 | |
| 95 | უკანა ციმციმების კომპლექტი (2ც) | 76 | | 25 | 101 | | 10 | |
| 96 | გვერდითა ციმციმების კომპლექტი (4ც) | 176 | | 25 | 201 | | 10 | |
| 97 | კონდიციონერის ლილაკი (ახალი) | 18 | | 20 | 38 | | 10 | |
| 98 | ციმციმის დინამიკის ალდგენა | | | 60 | 60 | | 10 | |
| 99 | ციმციმის მართვის ბლოკის ალდგენა | | | 60 | 60 | | 10 | |
| 100 | საყვირი (სიგნალი) (ახალი) | 57 | | 40 | 97 | | 10 | |
| 101 | საბურავი ბრენდირებული ზაფხულის (215/70 R15C) (მოხსნა დაყენება შენახვა) | 265 | | - | 265 | | 10 | |
| 102 | საბურავი ბრენდირებული ზამთრის (215/70 R15C) (მოხსნა დაყენება შენახვა) | 265 | | - | 265 | | 10 | |
| 103 | საბურავი ბრენდირებული ზამთარ/ზაფხული (M+S) (215/70 R15C) (მოხსნა დაყენება შენახვა) | 265 | | - | 265 | | 10 | |
| 104 | საბურავი არაბრენდირებული ზაფხულის (215/70 R15C) (მოხსნა დაყენება შენახვა) | 234 | | - | 234 | | 10 | |
| 105 | საბურავი არაბრენდირებული ზამთრის (215/70 R15C) (მოხსნა დაყენება შენახვა) | 245 | | - | 245 | | 10 | |
| 106 | საბურავი არაბრენდირებული ზამთარ/ზაფხული (M+S) (215/70 R15C) (მოხსნა დაყენება შენახვა) | 234 | | - | 234 | | 10 | |
| 107 | თერმოსტატი | 270 | | 45 | 315 | | 50 | |
| 108 | საქარე მინის გამწმენდის ძრავი | 465 | | 45 | 510 | | 10 | |
| 109 | პომპა | 613 | 407 | 90 | 703 | 497 | 50 | |
| 110 | სტარტერი | 800 | 548 | 90 | 890 | 638 | 50 | 2 |
| 111 | ტრავერსი | 2100 | | 100 | 2200 | | 70 | |
| 112 | საქარე მინის გამწმენდი (დვორნიკი, წყვილი) | 175 | | 10 | 185 | | 10 | |
| 113 | კლაპანი | 570 | | 90 | 660 | | 50 | |
| 114 | თვლების გადახრის შემოწმება (წყვილი) | | | 20 | 20 | | 10 | |
| 115 | საბურავის წნევის შემოწმება | | | 5 | 5 | | 10 | |
| 116 | სუპორტი უკანა (მარცხენა) | 1024 | | 50 | 1074 | | 70 | |
| 117 | სუპორტი უკანა (მარჯვენა) | 1024 | | 50 | 1074 | | 70 | |
| 118 | სუპორტი წინა (მარჯვენა) | 1550 | | 50 | 1600 | | | |

| | | | | | | | | |
|-----|--|------|------|-----|------|------|-----|---|
| 119 | სუპორტი წინა (მარცხენა) | 1550 | | 50 | 1600 | | 70 | |
| 120 | გლუმიტელის ავზი ბოლო | 900 | | 45 | 945 | | 10 | |
| 121 | საჭის გამაძლიერებელი | 1901 | | 100 | 2001 | | 70 | |
| 122 | დინამო | 1950 | | 90 | 2040 | | 70 | |
| 123 | საწვავის მქაჩი (ნასოსი) | 4950 | | 100 | 5050 | | 50 | |
| 124 | საჭის გამაძლიერებლის მქაჩი (ნასოსი) | 2071 | 964 | 100 | 2171 | 1064 | 70 | 5 |
| 125 | რესორი | 1310 | 828 | 80 | 1390 | 908 | 50 | 5 |
| 126 | მაღალი ძაბვის დამცველი | 22 | | 10 | 32 | | 10 | |
| 127 | გალუნული მაყურის აღდგენა | | | 35 | 35 | | 100 | |
| 128 | გალუნული მაყურის სამაგრის აღდგენა | | | 5 | 5 | | 100 | |
| 129 | სამედიცინო სალონის ცენტრალური ჩამრთველი | 33 | | 15 | 48 | | 60 | |
| 130 | საბურავის შეკეთება (კამერით) | 15 | 36 | 8 | 23 | 44 | 10 | |
| 131 | საწვავის ავზის დემონტაჟი და მონტაჟი | | | 132 | 132 | | 140 | |
| 132 | საწვავის ავზის მილის შეკეთება | | | 27 | 27 | | 120 | |
| 133 | სრიალა კარის ზედა როლიკის ფიქსატორი | 29 | | 5 | 34 | | 120 | |
| 134 | გალუნული ციმციმის გასწორება | | | 23 | 23 | | 90 | |
| 135 | კალპაკი პატარა (დისკის) | 110 | | 3 | 113 | | 150 | |
| 136 | სარკის მაშუქის გამოცვლა | 56 | 43 | 10 | 66 | 53 | 180 | 2 |
| 137 | წყლის რადიატორის გამოცვლა | 968 | 469 | 120 | 1088 | 589 | 120 | 2 |
| 138 | გადაცემათა კოლოფის ბალიში („პადკარობაჩნი“) ზედა | 193 | 189 | 40 | 233 | 229 | 60 | 2 |
| 139 | გადაცემათა კოლოფის ბალიში („პადკარობაჩნი“) ქვედა | 220 | 150 | 40 | 260 | 190 | 60 | 2 |
| 140 | წინა ფრთა | 324 | | 80 | 404 | | 90 | |
| 141 | ჰაერის გაგრილების რადიატორი (ინტერქლუერი) | 1750 | 729 | 80 | 1830 | 809 | 150 | 2 |
| 142 | გაგრილების ელექტრო ვენტილატორი | 1329 | 1053 | 80 | 1409 | 1133 | 60 | 2 |
| 143 | ფრთის მტვერდამცავი | 215 | 177 | 30 | 245 | 207 | 90 | 2 |
| 144 | საბარგულის კარის მინა | 990 | 227 | 70 | 1060 | 297 | 90 | 2 |
| 145 | გვერდითა კარის მინა (სრიალა კარი) | 1009 | | 90 | 1099 | | 90 | |
| 146 | კაპოტი | 851 | 544 | 70 | 921 | 614 | 120 | |
| 147 | უკანა ფრთის პლასტმასის კანტი | 89 | | 12 | 101 | | 90 | |
| 148 | გვერდითა პლასტმასის კანტი (დიდი) | 236 | | 18 | 254 | | 90 | |
| 149 | კარის პლასტმასის კანტი | 138 | | 15 | 153 | | 90 | |
| 150 | გვერდითა შუა პატარა პლასტმასის კანტი | 95 | | 10 | 105 | | 90 | |
| 151 | უკანა ზამპერის გვერდი | 118 | | 23 | 141 | | 90 | |
| 152 | უკანა ზამპერის კუთხე | 275 | 150 | 27 | 302 | 177 | 90 | 2 |
| 153 | მუხრუჭის ცენტრალური ბაჩოკი | 370 | | 55 | 425 | | 15 | |
| 154 | მაყურის სამაგრი რეზინი | 23 | | 10 | 33 | | 20 | |
| 155 | წინა კარის ფიქსატორი | 118 | 88 | 40 | 158 | 128 | 25 | 7 |
| 156 | საბურავის ჭანჭიკი | 23 | | 0 | 23 | | 25 | |
| 157 | საკაცის შეკეთება | | | 20 | 20 | | 10 | |
| 158 | სრიალა კარის საკეტი | 377 | | 29 | 406 | | 30 | |
| 159 | უკანა ფრთის სათუნუქე სამუშაოები | | | 75 | 75 | | 10 | |
| 160 | ფარის კანტი | 137 | | 12 | 149 | | 25 | |
| 161 | უკანა კარის დამატებითი გაღების ფიქსატორი ლილაკი | 35 | | 9 | 44 | | 20 | |
| 162 | საქარე მინის აღდგენა | | | 59 | 59 | | 7 | |

| | | | | | | | | |
|-----|--|------|-----|-----|------|-----|----|---|
| 163 | მინის საწმენდი სითხე | 8 | | 0 | 8 | | 0 | |
| 164 | გადაცემთა კოლოფის კორპუსის ადღგენა | | | 560 | 560 | | 30 | |
| 165 | ამორტიზატორის ბალიშის საკისარი | 70 | 27 | 58 | 128 | 85 | 30 | |
| 166 | კონდიციონერის რადიატორი | 1684 | | 120 | 1804 | | 30 | |
| 167 | L ფორმის გადამყვანი (ყანგბადის მილის) | 30 | | 5 | 35 | | 10 | |
| 168 | კონდიციონერის რადიატორის ადღგენა | | | 165 | 165 | | 3 | |
| 169 | მაყურის ადღგენა-შედულება | | | 50 | 50 | | 25 | |
| 170 | კაპოტის ფიქსატორის ძირი | 17 | | 5 | 22 | | 90 | |
| 171 | სარკის შუშა (პატარა) | 52 | | 15 | 67 | | 10 | |
| 172 | უსაფრთხოების ღვედი (სამედიცინო სალონის სავარძლის) | 82 | | 15 | 97 | | 10 | |
| 173 | ფრეონი (100 გრამი) | 14 | | 32 | 46 | | 10 | |
| 174 | მინის დასაბური 1კვ. მ. | | | 60 | 60 | | 7 | |
| 175 | სტუპიგა წინა კომპლექტი | 1798 | 538 | 78 | 1876 | 616 | 30 | 7 |
| 176 | ძრავის სადები ბალიში მარჯვენა | 1089 | 320 | 40 | 1129 | 360 | 15 | 2 |
| 177 | ძრავის გალოვკის სადები | 300 | 116 | 428 | 728 | 544 | 15 | 2 |
| 178 | ტროსი მუხრუჭის | 135 | 87 | 110 | 245 | 197 | 15 | 3 |
| 179 | სამედიცინო სალონის გამათბობელი | 325 | | 45 | 370 | | 15 | |
| 180 | სამედიცინო სალონის კონდიციონერი | 150 | | 55 | 205 | | 10 | |
| 181 | ძრავის ზეთის ვანის სადები | 143 | 71 | 70 | 213 | 141 | 15 | 1 |
| 182 | ძრავის ზეთის ვანა | 1150 | 663 | 70 | 1220 | 733 | 30 | 5 |
| 183 | ფარის კორპუსის ადღგენა (პლასმასის) | | | 55 | 55 | | 5 | |
| 184 | წინა აბლიგოვკის ადღგენა | | | 70 | 70 | | 4 | |
| 185 | წინა ბამპერის ღღგენა | | | 65 | 65 | | 3 | |
| 186 | უკანა ბამპერის ადღგენა | | | 60 | 60 | | 5 | |
| 187 | წყლის რადიატორის ადღგენა | | | 145 | 145 | | 1 | |
| 188 | გვერდითა სარკის ადღგენა | | | 95 | 95 | | 2 | |
| 189 | წინა ფრთის სათუნუქე სამუშაო | | | 75 | 75 | | 90 | |
| 190 | წინა კარის სათუნუქე სამუშაო | | | 80 | 80 | | 90 | |
| 191 | სრილა კარის სათუნუქე სამუშაო | | | 85 | 85 | | 90 | |
| 192 | მარჯვენა გვერდის უკანა ნაწილის სათუნუქე სამუშაო | | | 85 | 85 | | 90 | |
| 193 | საბარგულის კარის სათუნუქე სამუშაო | | | 75 | 75 | | 90 | |
| 194 | მარცხენა გვერდის შუა ნაწილის სათუნუქე სამუშაო | | | 85 | 85 | | 90 | |
| 195 | უკანა კუთხის სათუნუქე სამუშაოები | | | 85 | 85 | | | |
| 196 | მარცხენა გვერდის უკანა ნაწილის სათუნუქე სამუშაო | | | 85 | 85 | | 90 | |
| 197 | კარნიზის სათუნუქე სამუშაო | | | 75 | 75 | | 90 | |
| 198 | სახურავის სათუნუქე სამუშაო | | | 90 | 90 | | 90 | |
| 199 | წინა ზედა ეკრანის სათუნუქე სამუშაო | | | 75 | 75 | | 90 | |
| 200 | წინა ქვედა ეკრანის სათუნუქე სამუშაო | | | 55 | 55 | | 90 | |
| 201 | კაპოტის სათუნუქე სამუშაო | | | 75 | 75 | | 90 | |
| 202 | კაპოტის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 130 | 130 | | 90 | |
| 203 | კაპოტის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 235 | 235 | | 90 | |
| 204 | წინა ფრთის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 100 | 100 | | 90 | |
| 205 | წინა ფრთის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 165 | 165 | | 90 | |

| | | | | | | | | |
|-----|--|------|-----|-----|------|-----|-----|---|
| 206 | წინა კარის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 110 | 110 | | 90 | |
| 207 | წინა კარის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 165 | 165 | | 90 | |
| 208 | სრილა კარის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 170 | 170 | | 90 | |
| 209 | სრილა კარის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 325 | 325 | | 90 | |
| 210 | უკანა ფრთის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 155 | 155 | | 90 | |
| 211 | უკანა ფრთის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 330 | 330 | | 90 | |
| 212 | უკანა საბარგულის კარის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 110 | 110 | | 90 | |
| 213 | უკანა საბარგულის კარის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 150 | 150 | | 90 | |
| 214 | მარცხენა გვერდის უკანა ნაწილის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 100 | 100 | | 90 | |
| 215 | მარცხენა გვერდის უკანა ნაწილის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 165 | 165 | | 90 | |
| 216 | სახურავის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 125 | 125 | | 90 | |
| 217 | სახურავის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 225 | 225 | | 90 | |
| 218 | წინა ეკრანის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 110 | 110 | | 90 | |
| 219 | წინა ეკრანის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 165 | 165 | | 90 | |
| 220 | წინა გვერდის ზედა ნაწილი გარედან სამღებრო სამუშაოები | | | 110 | 110 | | 90 | |
| 221 | წინა გვერდის ზედა ნაწილი შიგნიდან და გარედან სამღებრო სამუშაოები | | | 165 | 165 | | 90 | |
| 222 | კარნიზის სამღებრო სამუშაოები გარედან | | | 125 | 125 | | 90 | |
| 223 | კარნიზის სამღებრო სამუშაოები შიგნიდან და გარედან | | | 220 | 220 | | 90 | |
| 224 | არაკალი ავერი (სტიკერი) | | | 65 | 65 | | 45 | |
| 225 | დენის გარდაგეგმული 12W-220W | 162 | | 15 | 140 | | 10 | |
| 226 | თვლების წამყვანის ჩობალი მარცხენა (სალნიკი) | 160 | | 58 | 218 | | 5 | |
| 227 | თვლების წამყვანის ჩობალი მარჯვენა (სალნიკი) | 290 | | 73 | 423 | | 7 | |
| 228 | ძრავის უკანა ჩობალი (სალნიკი) | 204 | | 195 | 399 | | 10 | |
| 229 | ძრავის წინა ჩობალი (სალნიკი) | 108 | | 195 | 302 | | 5 | |
| 230 | გადაცემათა კოლოფის ჩობალი (სალნიკი) | 54 | | 185 | 237 | | 3 | |
| 231 | კონდიციონერის კომპრესორი | 2579 | | 90 | 2520 | | 5 | |
| 232 | საწვავის ავზის მქაჩის სამაგრი თავსახური | 96 | | 33 | 123 | | 10 | |
| 233 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | | | 20 | 20 | | 10 | |
| 234 | სტარტერის ალდგენა | | | 110 | 110 | | 10 | |
| 235 | სტარტერის ბენდექსი | | 120 | 40 | | 160 | 10 | |
| 236 | დინამოს ჩოტკები | | 70 | 50 | | 120 | 10 | |
| 237 | დინამოს საკისარი | | 130 | 90 | | 210 | 10 | |
| 238 | მინის ასაწვეის ღილაკი მექანიზმით | 348 | | 45 | 393 | | 20 | |
| 239 | ციმციმის მართვის პულტის დამტენი | | 10 | 5 | | 15 | 20 | |
| 240 | ვიდეო რეგისტრატორის მუდმივ ელექტრო კვებაზე მონტაჟი | | | 40 | 40 | | 10 | |
| 241 | წინა ამორტიზატორის ბალიში | 390 | | 58 | 448 | | 10 | |
| 242 | კონდიციონერის მილი | 330 | | 45 | 375 | | 240 | |
| 243 | კონდიციონერის მილის ალდგენა | | | 145 | 145 | | 180 | |
| 244 | კონდიციონერის სადენების ჩობალი | 15 | | 39 | 54 | | 90 | |
| 245 | ქვედა გიტარის ვტულკა დიდი (რაზვალის) არა ქარხნული | | 74 | 65 | | 139 | | 5 |
| 246 | ქვედა გიტარის ვტულკა პატარა (რაზვალის) არა ქარხნული | | 63 | 65 | | 128 | | 5 |

| | | | | | | | | |
|-----|---|------|-----|-----|------|-----|----------|--|
| 247 | საწვავის ავზის მიღში დამცავი ზადე | 30 | | 20 | 50 | | 10 | |
| 248 | საჭის გამაძლიერებლის ადდგენა, დემონტაჟი-მონტაჟი | | | 390 | 0 | | 25 | |
| 249 | ტურბო კომპრესორი (ძრავის გამაძლიერებელი) | 2450 | | 210 | 2660 | | 150000კმ | |
| 250 | ტურბო კომპრესორის (ძრავის გამაძლიერებელი) რემკომპლექტის შევლა ადდგენა | 1450 | | 210 | 1660 | | 90 დღე | |
| 251 | საწვავის შემფრქვევი სისტემის (ინექტორი) გაწმენდა | | | 170 | 170 | | 15 დღე | |
| 252 | ინტერქულერის მაღალი წნევის მილი (შემწვები) | 462 | | 135 | 597 | | 60 | |
| 253 | ინტერქულერის მაღალი წნევის მილი (გამწვები) | 375 | | 135 | 510 | | 60 | |
| 254 | ძრავის გამაძლიერებლის (ტურბო კომპრესორი) მილი | 449 | | 175 | 624 | | 60 | |
| 255 | საწვავის ავზის მილი | 165 | | 38 | 203 | | 60 | |
| 256 | ხელის მუხრუჭის ხუნდები (ქარხნული) | 450 | 167 | 55 | 672 | 222 | 10 | |
| 257 | აბს-ის სენსორი | 245 | | 65 | 310 | | 60 | |
| 258 | საბუქსირეს ყულფი | 115 | | 0 | 115 | | 0 | |
| 259 | ბერკეტის ღერძი | 100 | | 0 | 100 | | 0 | |
| 260 | მაყუჩის გოფირებული მილი (დრეკადი) | 350 | | 75 | 425 | | 30 | |
| 261 | ხელის მუხრუჭის ტროსი | 130 | | 90 | 220 | | 50 | |
| 262 | მუხრუჭის მილი | 70 | | 45 | 115 | | 30 | |
| 263 | ძრავის ცეპი | 284 | | 350 | 634 | | 45 | |
| 264 | გადაცემთა კოლოფის გადამრთველი ტროსი | 460 | | 135 | 595 | | 30 | |
| 265 | კარის პეტლის ადდგენა (სათუნუქე სამუშაო) | | | 75 | 75 | | | |
| 266 | სრიალა კარის ზედა საკეტი | 135 | | 28 | 163 | | 30 | |
| 267 | საკაცის სახელურის ჩამკეტი ფიქსატორი | 10 | | 5 | 15 | | 10 | |
| 268 | ვიდეო რეგისტრატორის 12 W გარდამქმნელის დემონტაჟი-მონტაჟი | 0 | | 30 | 30 | | 5 | |
| 269 | ვიდეო რეგისტრატორის დამცველი | 3 | | 15 | 18 | | 2 | |
| 270 | წვეთოვანის სამაგრი გორგოლაჭი | 25 | | 24 | 49 | | 10 | |
| 271 | სრიალა კარის სენსორი | 450 | | 45 | 495 | | 30 | |
| 272 | მაღალი წნევის მარეგულირებელი (EGR) | 410 | | 85 | 495 | | 23 | |
| 273 | პროექტორი | 230 | | 37 | 267 | | 8 | |
| 274 | უკანა სენსორი (კომპლექტი) (არაქარხნული) | | 250 | 210 | 460 | | 5 | |
| 275 | საბურავის დისკი | 390 | | 0 | 390 | | 40 | |
| 276 | უკანა ხედვის კამერა | 270 | | 190 | 460 | | 8 | |
| 277 | კომპიუტერის (პლანშეტი) მონტაჟი მძღოლის სალონში | | | 95 | 95 | | 25 | |
| 278 | დენის გარდამქმნელის (220 W) მონტაჟი | | | 54 | 54 | | 25 | |
| 279 | წინა კარის მინის ასაწვევი მექანიზმი | 870 | | 75 | 945 | | 10 | |
| 280 | გასაღების ბუდე | 580 | | 70 | 650 | | 60 | |
| 281 | კატალიზატორი | 3800 | | 130 | 3930 | | 90 | |
| 282 | ეგერის გაგრილების გამანაწილებელი მილი | 290 | | 110 | 400 | | 25 | |
| 283 | საწვავის შემფრქვევი (ფარსუნკა) | 1900 | | 90 | 1990 | | 90 | |



სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სახელზე რიცხული ფიატ დობლოს მარკის ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ჩამონათვალი ხარჯთაღრიცხვასა და გარანტიის ვადებთან ერთად

| N | დასახელება | ნაწილის ერთეულის ფასი (ქარხნული) | ნაწილის ერთეულის ფასი (არაქარხნული) | მომსახურების დღეებულება | ჯამი (ქარხნული) | ჯამი (არაქარხნული) | გარანტიის ვადა (ქარხნული) დღე | გარანტიის ვადა (არაქარხნული) დღე |
|----|---------------------------------------|---|--|----------------------------|--------------------|-----------------------|--|---|
| 1 | აბლიგოვკა ზედა ნაწილი | 336 | 71 | 40 | 376 | 111 | 70 | 7 |
| 2 | აბლიგოვკა ქვედა ნაწილი | 123 | | 40 | 163 | | 70 | |
| 3 | ამორტიზატორის ჩაშკა | 197 | 93 | 50 | 247 | 143 | 70 | 7 |
| 4 | ამორტიზატორი წინა | 303 | 174 | 50 | 353 | 224 | 70 | 7 |
| 5 | ამორტიზატორი უკანა | 226 | 119 | 50 | 276 | 169 | 70 | 7 |
| 6 | ბამპერი უკანა | 400 | 306 | 80 | 480 | 386 | 10 | |
| 7 | წინა კარის კანტი | 179 | 89 | 15 | 194 | 104 | 10 | 7 |
| 8 | გვერდითა უკანა კანტი | 146 | 72 | 15 | 161 | 87 | 10 | 7 |
| 9 | ფრთის მტვერდამცავი | 146 | 97 | 15 | 161 | 112 | 10 | 7 |
| 10 | ბამპერის წინა | 650 | | 90 | 740 | | 10 | |
| 11 | გამაგრებელი სითხე (ანტიფრიზი) 1 ლიტრი | 18 | | 18 | 36 | | 10 | |
| 12 | გამახურებელი | 58 | 32 | 60 | 118 | 92 | 10 | 7 |
| 13 | გენერატორის ღვედი | 85 | | 20 | 105 | | 40 | |
| 14 | გენერატორის ღვედის როლიკი | 150 | 80 | 40 | 190 | 120 | 10 | 7 |
| 15 | გენერატორის ღვედის დამჭიმი | 195 | 175 | 40 | 235 | 215 | 10 | 7 |
| 16 | გიტარა უკანა | 927 | - | 60 | 987 | | 20 | |
| 17 | გიტარა წინა ქვედა | 314 | 158 | 40 | 354 | 198 | 50 | 7 |
| 18 | ზამზარა წინა | 545 | - | 80 | 625 | | 10 | |
| 19 | თვლების განშლა უკანა | 49 | | 20 | 69 | | 10 | |
| 20 | თვლების განშლა წინა (წყვილი) | 49 | | 20 | 69 | | 10 | |
| 21 | ვაკუუმის ბაჩოკი | 1,078 | 724 | 90 | 1,688 | 814 | 10 | 1 |
| 22 | მუხრუჭის ბაჩოკი წინა | 1,087 | - | 70 | 1,157 | | 20 | |
| 23 | მუხრუჭის ბაჩოკი უკანა | 321 | 202 | 70 | 391 | 272 | 20 | 1 |
| 24 | მუხრუჭის ცენტრალური ბაჩოკი | 661 | - | 90 | 751 | | 20 | |
| 25 | კარის გარე სახელური წინა მარჯვენა | 251 | 98 | 20 | 271 | 118 | 20 | 7 |
| 26 | კარის საკეტი მარჯვენა | 289 | | 20 | 309 | | 20 | |
| 27 | კარის შიდა სახელური უკანა | 179 | | 20 | 199 | | 20 | |
| 28 | გადაცემათა კოლოფის სადები ბალიში | 185 | 142 | 80 | 265 | 222 | 20 | 7 |
| 29 | ძრავის სადები ბალიში | 318 | 173 | 80 | 398 | 253 | 20 | 7 |
| 30 | კონდიციონერის კომპრესორი | 2,719 | - | 170 | 2,889 | | 20 | |
| 31 | ძრავის ზეთის ვანა | 677 | | 70 | 747 | | 10 | |
| 32 | ძრავის ცეპი | 270 | 145 | 120 | 390 | 265 | 10 | 1 |
| 33 | ძრავის ცეპის დამჭიმი | 82 | - | 120 | 202 | | 10 | |
